საგაზეთო ჩანართი
# ინტელექტი
თვითმმართველობა და განვითარება
www.intellect.org.ge
№20 / 2012

# ინტერნეტი – გამარტივებული კომუნიკაცია მსოფლიოსთან

**2010 წელს ფინეთმა უპრეცედენტო კანონი მიიღო – ადამიანის საყოველთაო უფლებად ინტერნეტის ფართომასშტაბიანი ხელმისაწვდომობა აღიარა. კანონის ძალით 2015 წლისათვის მისი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს ქვეყნის ნებისმიერ წერტილში შეუფერხებელი ინტერნეტით სარგებლობის უფლება ექნება. სამაგიეროდ, თურქმენეთის მთავრობამ ქვეყნის ტერიტორიაზე გლობალური ქსელით სარგებლობის უფლება, ტურისტების გარდა, ყველა მოქალაქეს აუკრძალა.**

**ჩვენ ორივე მაგალითისაგან მნიშვნელოვნად დაშორებული ვართ. საქართველოში ინტერნეტის მოხმარება არ გვეკრძალება, მაგრამ უფლების დაცვაზეც დიდ მზრუნველობაში ვერავის ვერ „დავადანაშაულებთ“.**



ინტერნეტი 21-ე საუკუნის უდიდესი მონაპოვარია. თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში ისე შემოიჭრა და ისე გაგვაბა საკუთარ ქსელში, რომ სრულყოფილად გააზრება ვერც კი მოვასწარით. მისი გამოყენება იმდენად საჭირო და აუცილებელი გახდა თანამედროვე ცხოვრებაში, რომ თითოეული ჩვენგანის საქმიანობა თუ მოქმედება ინტერნეტისკენ მიდის. მისი გამოყენების გარეშე არ არსებობს თანამედროვე ადამიანის სამსახური, სასწავლებელი, სკოლა და თავისუფალი დროც კი.

ინტერნეტი – ეს არის გლობალური საინფორმაციო სივრცე, ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაცია ყველასა და ყველაფრის შესახებ. ეს არის სიახლეები და თანამედროვე ტექნოლოგიები, წიგნები და ლექსიკონები, მუზეუმები და გალერეები, ყოველდღიური ცხოვრება, ინფორმაციის გაცვლა, კონტაქტების დამყარება და კიდევ სხვა მრავალი... ინტერნეტი არის ახალი განზომილება, ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების ახალი ხერხი. მისი მომხმარებელი დღეს ყველა თაობისა და პროფესიის წარმომდგენელია. ბევრისთვის ინტერნეტი გართობის საშუალებაა, ბევრისთვის – ინფორმაციის გაცვლის და თავისუფალი სიტყვის არენა, ბევრისთვის კი – საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის ერთადერთი საშუალება.

საქართველოში ინტერნეტის მოხმარებასთნ დაკავშირებით ხშირად ვაწყდებით პრობლემებს. ტექნიკური შესაძლებლობებით ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ დგას იმ საფეხურზე, როდესაც მის ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება ინტერნეტით სარგებლობა. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ეხება ქვეყნის პერიფერიებს და გამონაკლისს ამ მხრივ არც აჭარა წარმოადგენს.

აჭარის მოსახლეობა, ბათუმისა და ქობულეთის გარდა, მნიშვნელოვნადაა შეზღუდული ინტერნეტზე წვდომის თვალსაზრისით. აქ მომსახურებას მხოლოდ მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორები უზრუნველყოფენ. მათ მიერ გაწეული ინტერნეტმომსახურება კი გაცილებით მაღალი ტარიფით ხორციელდება და სიჩქარეც შესამჩნევად დაბალია.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტზე მოთხოვნა მაღალია, ინტერნეტპროვაიდერები არ არიან დაინტერესებულნი, გააფართოვონ მათი საქმიანობა მუნიციპალიტეტებში და ორიენტირებული არიან ძირითადად დიდ ქალაქებზე. თემებში მათი საქმიანობა იმ ტარიფებით, რაც დიდ ქალაქებშია, არარენტაბელური იქნება ქსელის ტექნიკურად გამართვაზე გაწეული ძალიან მაღალი ხარჯის გამო. სანამ სათანადო საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა არ შეიქმნება, მანამდე ოპერატორების შესვლა ამ ბაზრებზე ნაკლებ მოსალოდნელია.

თემებში ინტერნეტის გამოყენების აუცილებლობასა და პრობლემის აღმოფხვრის საჭიროებას მოწმობს იმ რესპონდენტთა მოსაზრებებიც, რომლებიც პროექტის ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ გამოკითხა. გამოკითხვაში მონაწილეობას, ძირითადად, მუნიციპალიტეტებში მცხოვრები პედაგოგები, მოსწავლეები, აბიტურიენტები და ახალგაზრდები იღებდნენ.

მათი შეფასებების მიხედვით პრობლემები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

**პირველ ჯგუფში** მოისაზრება ადამიანები, რომლებსაც აქვთ ინტერნეტი, სარგებლობენ, მაგრამ ხარისხი იმდენად დაბალია, რომ მათ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს:

„ოთხი თვეა რაც ჯეოსელის ინტერნეტით ვსარგებლობ, ინტერნეტი ჩემთვის არის ალტერნატიული ინფორმაციის წყარო, სიახლეების ოპერატიულად მიღების საშუალება და საკუთარი თავი არ მინდა შევზღუდო. მართალია, მომსახურება ძალიან ძვირია და ხარისხი დაბალი, მაგრამ ჯერჯერობით სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ“ – ვლადიმერი, 34 წლის.

**მეორე ჯგუფს** განეკუთვნება მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა მომავლისთვისაც მსოფლიო გლობალური ქსელით სარგებლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს:

„მე ჯერ სკოლის მოსწავლე ვარ და ინტერნეტს ძირითადად სწავლისთვის ვიყენებ. ხშირი მომხარებელი ვარ ლექსიკონებისა და სოციალური ქსელების. მართალია, ძალიან ძვირია მსგავსი მომსახურებით სარგებლობა, მაგრამ იმისათვის, რომ განვითარდე, თანამედროვეობას აუწყო ფეხი და შეიგრძნო სრული ცივილიზაცია, ამისათვის სიძვირემაც არ უნდა შეგაშინოს “ – ლოლა, 16 წლის.

და **მესამე ჯგუფი,** რომლებსაც, სურვილის მიუხედავად, არ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ინტერნეტმომსახურებით:

„სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემულია ლინკები, რომლითაც უნდა მოამზადო გაკვეთილი, რასაც ხშირად ვერ ვახერხებ. თუ გამიმართლა მეზობლების ან მეგობრების ინტერნეტით ვსარგებლობ. კარგი იქნება, თუ ინტერნეტი სოფლებში, როგორც ტექნიკურად, ისე ფინანსურად, ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება. მე პირადად დაინტერესებული ვარ, მოვიძიო ინფორმაცია სხვა ქვეყნებში უნივერსიტეტების შესახებ, სადაც შესაძლოა, სამომავლოდ სწავლაც გავაგრძელო, სხვებივით ვისარგებლო სოციალური ქსელებით, მივიღო ინფორმაცია და შევიძინო მეგობრები. რაც უფრო ადრე შემეძლება ამის გაკეთება, ჩემი მომავალი საქმიანობისთვის უკეთესი იქნება“ – ლუიზა, 15 წლის.

გუგული, 45 წლის: „მე პედაგოგი ვარ და მომავალი თაობის აღზრდაზე სწორედ პედაგოგები ვართ პასუხისმგებლები. იმისათვის, რომ ჩვენი მოსწავლეები სამომავლოდ ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები გახდნენ, მათ სრულყოფილი განათლება უნდა მივცეთ. დღეისათვის ყველაფერი სწრაფი ტემპებით ვითარდება, ცივილიზაციას ფეხი თუ არ ავუწყვეთ, ჩამოვრჩებით და თაობები დაიკარგება. ქვეყნის და განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობას არ გვაქვს საშუალება, რომ პროფესიულ განვითარებაში თანამედროვე მეთოდები დავნერგოთ. ინტერნეტი კი იძლევა იმის საშუალებას, რომ დისტანციურად მოხდეს ყველა სფეროში სიახლეების გაცნობა და სხვა ქვეყნების გამოცდილების პრაქტიკაში გამოყენება“.

ემზარი, 27 წლის: „ჩემი და საზღვარგარეთ მუშაობს, ოჯახს კომპიუტერი საჩუქრად გამოგვიგზავნა– ჩართეთ ინტეერნეტი და დაგელაპარაკებითო, თუმცა ჩვენს სოფელში ინტერნეტი კი არა, სატელეფონო კავშირიც ხარვეზებით გვაქვს, ამიტომ კარგი იქნება, თუ სახელმწიფო იზრუნებს და სხვა პრობლემებთან ერთად ამასაც მოაგვარებს.“

### რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად?

თუ მსოფლიო სტატისტიკას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ 2010 წელს ინტერნეტს მსოფლიოში 360 985 492 ადამიანი მოიხმარდა, 2011 წელს კი მათი რიცხვი 2 მილიარდ 95 მილიონამდე გაიზარდა. ინტერნეტის მოთხოვნაზე, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, მზარდი მაჩვენებელია დაფიქსირებული საქართველოშიც. მართალია, სტატისტიკის მიხედვით საქართველოში აბონენტთა რიცხვი დღითიდღე იზრდება, მაგრამ ეს ხდება არა მუნიციპალიტეტების, არამედ ქალაქების მოსახლეობის ხარჯზე. რეგიონების პერიფერიებში ინტერნეტზე წვდომის პრობლემა ჯერ ისევ მწვავედ დგას.

პრობლემის აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ გარკვეულ ნაბიჯები ამ კუთხით უკვე გადადგა და შეიმუშავა პროექტი: „კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო კურირებს. პროექტის მიზანია: ტექნოლოგიებსა და ელექტრონულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, რეგიონებში ეკონომიკური საქმიანობის წახალისების ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში საქართველოს 300 უმსხვილეს სოფელში შეიქმნება კომპიუტერული ცენტრები, რომელთა საშუალებით მოხდება:

1. საგანმანათლებლო საქმიანობა — კომპიუტერული ცოდნის გავრცელება;
2. კომპიუტერისა და ინტერნეტის ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენების პოპულარიზაცია;
3. კერძო და სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

გარდა ამისა, კომპიუტერული ცენტრი ითანამშრომლებს კერძო სექტორთან - ბანკებთან, სადაზღვევო კომპანიებთან, ამანათების გადამზიდავ კომპანიებთან, ინტერნეტ და კავშირგაბმულობის სფეროს წარმომადგენლებთან და ხელს შეუწყობს სოფელში მათი მომსახურებების მიწოდებას.

გარდა ამისა, უახლოეს მომავალში, საურველია სახელმწიფომ რეგიონებში შექმნას ინტერნეტპროვაიდერებისათვის მასტიმულირებელი საინვესტიციო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლების სრულ დაფარვას ფართოზოლოვანი ინტერნეტით, რაც თავის მხრივ განაპირობებს მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის დაცვას (დღეისათვის ეს ბალანსი დარღვეულია, რადგან მოთხოვნა ინტერნეტით სარგებლობაზე გაცილებით მაღალია, ვიდრე ამას მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორები და ინტერნეტპროვაიდერები ახერხებენ). აგრეთვე იმ კომპანიებისათვის, რომლებიც მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განახორციელებენ ლოკალური ქსელების მშენებლობას და ინტერნეტის მიწოდებას, შემუშავებული იქნას ტექნიკურ სამუშაოთა ღირებულებების კომპენსირების პირობები.

ყოველივე ზემოხსენებული ხელს შეუწყობს: მუნიციპალიტეტებით ინვესტორთა და ტურისტთა დაინტერესებას (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მოსახლეობა ინტერნეტის საშუალებით რეკლამას გაუწევს საკუთარ მუნიციპალიტეტს, სოფელს, უფრო მეტი ტურისტი ჩავა რეგიონებში და შეიძენს ადგილობრივ პროდუქციას); მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი იქნება საინფორმაციო-საგანმანათლებლო ინტერნეტრესურსები (მუნიციპალიტეტებში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის აგროტექნოლოგიები, ინფორმაცია სხვადასხვა კულტურებზე, მათ ადგილებზე საბაზრო სეგმენტებში, ბიზნესის ორგანიზების საფუძვლები, როგორ მოაწყონ მეურნეობა ტურისტების მოსაზიდად და ა.შ.) თემების მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას (მოსახლეობა შეძლებს ინტერნეტის საშუალებით რეკლამა გაუკეთოს საკუთარ პროდუქციას, გაყიდოს ან იყიდოს მისთვის სასურველი ნივთი).

*გაგრძელება შემდეგ გვერდზე*

# ქედის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მომსახურების ბიურო ამოქმედდა



ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში შესვლისთანავე თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი მუნიციპალური მომსახურებების ცენტრი, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა" ევროკავშირის ფინანსური დახმარებით ჩამოაყალიბა. ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამით – „ელექტრონული ასისტენტი". (საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 7 ნოემბრის ბრძანებულებით „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის შესახებ" ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაევალათ, რომ არაუგვიანეს 2013 წლის პირველი ივნისისა, განახორციელონ დოკუმენტბრუნვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა, ხოლო სისტემის სტანდარტის შესაბამისი პროგრამის მიღება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – საფინანსო ანალიტიკური სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან.

აღნიშნული ბრძანებულების გამოქვეყნებამდე ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა" თვითმმართველობის ორგანოებისათვის შეიმუშავა და მუნიციპალიტეტებში დანერგა კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც საქართველოს მთავრობის 2012 წლის N64 დადგენილებაშია მოცემული, თუმცა აღნიშნული ბრძანებულების ამოქმედების შემდეგ რა ბედი ეწევა პროგრამას „ელექტრონულ ასისტენი", ჯერჯერობით უცნობია.

მომსახურების ცენტრი გამგეობასა და საკრებულოში დასაქმებული კადრებითაა დაკომპლექტებული. მათ ფუნქციებში შედის მოქალაქეთა წერილებისა და განცხადებების მიღება–ჩაბარება, ადმინისტრაციულ ვადებში პასუხების გაცემის კონტროლი, თვითმმართველობის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე მოქალაქეთა უზრუნველყოფა სწრაფი და ხარისხიანი ინფორაციით და ა.შ. ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი ცენტრის თანამშრომლებმა პროგრამის „ელექტრონული ასისტენტი" გამოყენების შესასწავლად შესაბამისი ტრენინგებიც გაიარეს.

მომსახურების ცენტრი ახალი წლიდან უკვე ემსახურება მოქალაქეებს. „ინტელექტის" წარმომადგენლების ქედის მუნიციპალიტეტში ვიზიტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა აღნიშნული ცენტრის მუშაობის შეფასება და მონიტორინგი.

**დავით არძენაძე, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის" ეკონომისტი:** – ერთი ფანჯრის პრინციპით მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის ჩამოყალიბება პროექტის „აჭარის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების განვითარება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში დაგეგმილ საქმიანობათაგან ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია. მსგავსი ცენტრები ჩვენ აჭარის 4 მუნიციპალიტეტში გავაკეთეთ (ქობულეთი, ქედა, შუახევი, ხულო. რაც შეეხება ხელვაჩაურს, აქ უკვე ფუნქციონირებდა ცენტრი, „ინტელექტმა" კი მხოლოდ ტექნიკა და კომპიუტერული პროგრამა დანერგა), რომლებიც აგრეთვე წარმატებულად მუშაობენ. რაც შეეხება ცენტრის მუშაობას ქედაში, ყველაფერი კარგად მიმდინარეობს. ცენტრის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის მხოლოდ კომპიუტერული პროგრამის საკითხია მოსაწესრიგებელი, რომლის აღმოფხვრაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სრულად გადასვლას ავტომატიზებულ სისტემაზე.

**ჯუმბერ ბეჟანიძე, ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი:** – ქედის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრმა ფუნქციონირება მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან დაიწყო. აქ დღეში დაახლოებით 15-20 მოქალაქეს ვემსახურებით. ცენტრი დაკომპლექტებულია გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებით და ის თვითმმართველობის ორივე ორგანოს ემსახურება. მოქალაქეები ხშირად მოდიან ისეთ საკითხებზე, რომელიც არ შედის თვითმმართველობის კომპეტენციაში. ასეთ შემთხვევებში ჩვენი თანამშრომლები ცდილობენ, ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდონ და შესაბამის ორგანოებში გადაამისამართონ.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ინტელექტს" ამ პროექტისთვის. როგორც ხედავთ ცენტრი მდებარეობს პირველ სართულზე, ეს ადგილი სპეციალურად იქნა შერჩეული, რადგან აქ მოდიან ხანდაზმული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეები, რომლებსაც უჭირთ სართულებზე სიარული. ჩვენი თანამშრომლები კომპეტენტური, გაწონასწორებული, მშვიდი და კომუნიკაბელურები არიან. ისინი ცდილობენ, მოქალაქეებს შეუქმნან სასიამოვნო გარემო. აქ მოსული ნებისმიერი ადამიანი მის განცხადებაზე პასუხით უკმაყოფილო თუ წავა, ჩვენი თანამშრომლების მომსახურებით მაინც იქნება კმაყოფილი."

**ნატო შერვაშიძე, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი:** – ჯერჯერობით ისევ ჟურნალებით ვმუშაობთ. მართალია, „ინტელექტმა" პროგრამა „ელექტრონული ასისტენტი" შეიმუშავა და ტრენინგებიც გავიარეთ მის გამოყენებასთან დაკავშირებით, მაგრამ ერთიანი ქსელი ჯერ ისევ არ გვაქვს, ამ ეტაპზე სწორედ ეს ხარვეზია აღმოსაფხვრელი. რაც შეეხება ჩვენს მომსახურებას – მოსახლეობა სრულიად კმაყოფილია, რადგან ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ ყოფილა უსიამოვნო შემთხვევა. მოქალაქეებს მოსწონთ პირდაპირ მომსახურების ცენტრში რომ მოდიან. აქ იღებენ ყველა სახის ინფორმაციას და არ უწევთ სართულიდან სართულზე და კაბინეტიდან–კაბინეტში გადამისამართება. ვფიქრობ, დროთა განმავლობაში ჩვენი მუშაობა თანდათან დაიხვეწება და ხარვეზებიც აღმოიფხვრება. პრაქტიკა გვიჩვენებს, მომავალში რა იქნება საჭირო, ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ ყველაფერი კარგად იყოს".

„ინტელექტის" ვიზიტის პარალელურად, მომსახურების ცენტრი მოქალაქეებსაც იღებდა. აღსანიშნავია, რომ ყველა კმაყოფილი იყო მომსახურების ცენტრში არსებული სიტუაციით, პერსონალის თბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულებით. ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით და რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ.

**თემურაზ თებიძე, ქედის მკვიდრი**

– ბატონო თეიმურაზ, რა საკითხზე ხართ მომსახურების ცენტრში მოსული და კმაყოფილი ხართ თუ არა მომსახურებით?

– ამჟამად ხე-ტყის მასალის გამოყენების ნებართვა მინდა, იმედია დადებით პასუხს მივიღებ, თუმცა აქამდეც არაერთხელ მომიმართავს გამგეობისთვის და სულ მეხმარებიან, ბავშვი მყავდა საოპერაციო, რომ არა ამათი გვერდში დგომა, ჩემს შვილს ვერ ჩავუტარებდი ძვირადღირებულ ოპერაციას. თანამშრომლებიც ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით და გულისყურით ეპყრობიან თითოეულ მოქლაქეს.

**მურად ვარშანიძე, ქედის მკვიდრი**

– ბატონო მურად, როგორ მოგწონთ მომსახურების ცენტრში არსებული სიტუაცია?

– ძალიან კარგი სამსახურია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აქ მოსული მოქალაქე არასდროს უკმაყოფილო არ წავა, თანამშრომლები ყოველთვის ამომწურავ და კომპეტენტურ პასუხს იძლევიან, ამავდროულად ყურადღებიანი და თავაზიანები არიან.

**2011 წელს მოქალაქეთა მომსახურების ბიურო აჭარის რეგიონის კიდევ 4 მუნიციპალიტეტში ამოქმედდა, ასე რომ ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში მოქალაქეებს უკვე აქვთ „ერთი ფანჯრის პრინციპით" სერვისის მიღების შესაძლებლობა.**

# ინტერნეტი – გამარტივებული კომუნიკაცია მსოფლიოსთან

*დასაწყისი გვ.7*

**მოკლედ ინტერნეტის შექმნის შესახებ**

ინტერნეტის შექმნის ერთიანი თარიღი არ არსებობს, ვინაიდან სხვადასხვა ადამიანები ათვლის წერტილად სხვადასხვა მოვლენას ასახელებენ.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა ხელოვნური თანამგზავრი შექმნა და 1957 წელს დედამიწის ორბიტაზე გაუშვა, შეერთებული შტატების თავდაცვის უწყებამ მიიჩნია, რომ საბჭოთა კავშირში ტექნოლოგიები მაღალ დონეზე იყო განვითარებული და ფართომასშტაბიანი ომის შემთხვევაში ამერიკელებს ინფორმაციის გადაცემის საიმედო სისტემა დასჭირდებოდათ. მანამდე არსებული სისტემების ერთ-ერთი ნაკლი ის იყო, რომ მათ სამართავი ცენტრი ჰქონდათ, ანუ ადგილი, რომლის გათიშვის შემთხვევაშიც მთელი სისტემა ითიშებოდა. სწორედ ამიტომ საჭირო გახდა ისეთი ქსელის შექმნა, რომელსაც არ ექნებოდა მართვის ერთიანი ცენტრი და რომელიმე სეგმენტის გათიშვის შემთხვევაში დანარჩენები შეუფერხებლად იმუშავებდა. ამ მიზნით დაარსდა მოწინავე პროექტების კვლევის სააგენტო - Advanced Research Projects Agency, ცნობილი როგორც ARPA. სწორედ იქ შეიმუშავეს ინტერენტის კონცეფცია.

ამრიგად, ინტერნეტის შექმნის იდეა ამერიკელ სამხედროებს ეკუთვნით, იდეის განხორციელება კი ამერიკულმა უნივერსიტეტებმა ითავეს. ასე შეიქმნა ინტერენტის წინამორბედი - ARPANET-ი.

პირველი ინტერნეტკავშირი 1969 წლის 29 ოქტომბერს ARPANET-ში ჩართულ ორ ობიექტს შორის შედგა. ისინი ერთმანეთისგან 640 კილომეტრით იყვნენ დაშორებულნი. ერთი კალიფორნიის უნივერსიტეტში, ქალაქ ლოს-ანჯელესში (UCLA) მდებარეობდა, მეორე კი - სტენფორდის კვლევათა ინსტიტუტში (SRI). პირველი ჩართვისას მხოლოდ სამი სიმბოლოს გადაგზავნა (LOG) მოხერხდა, რის შემდეგაც ქსელმა ფუნქციობა შეწყვიტა. გადასაცემი სიტყვა იყო LOGON (ანუ სისტემაში შესვლის ბრძანება). სისტემის სამუშაო რეჟიმში დაბრუნება მხოლოდ საათ-ნახევრის შემდეგ მოხერხდა და მომდევნო ცდა წარმატებით დასრულდა. სწორედ ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს ინტერნეტის დაბადების დღედ.

ამერიკის შეერთებული შტატების პარალელურად ევროპის ქვეყნებშიც დაიწყეს ინტერნეტის მსგავსი ქსელების შექმნა. 1973 წელს ტრანსატლანტიკური კაბელის საშუალებით მასში პირველი არაამერიკული ორგანიზაციები ჩაერთო (დიდი ბრიტანეთიდან და ნორვეგიიდან) და ქსელი საერთაშორისო გახდა. 1983 წელს კი „ინტერნეტი" ეწოდა ერთიან ქსელს, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს ARPANET-ი წარმოადგენდა.



საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი"

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის "აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი"
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 241650, ფაქსი: 241640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge

მასალა განთავსებულია სარეკლამო ფართობზე. გამოქვეყნებული ტექსტის შინაარსსა და სიზუსტეზე გაზეთი „ბათუმელები" პასუხისმგებელი არ არის